ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5481921

ნომერი: AR1832820

თარიღი : 24.06.2021

გაცემის თარიღი : 01.07.2021

გაცნობის თარიღი : 02.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. ასათიანი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ერისთავი პ/ნ 01008036795
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დიმიტრი ერისთავი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008036795

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1177.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 510.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1953.72
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1713.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 240.12

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.4

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
1. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა ს/კ: 01.00.163 (გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი, მესაკუთრე-ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და მის მიერ გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.
2. სადემონტაჟო გენ-გეგმაზე დატანილი იქნას მანქანების/ტექნიკის მოძრაობის სქემა, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე დემოტაჟის პროცესში მოხვედრა ხდება მომიჯნავე ნაკვეთიდან შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა იქნას წარმოდგენილი.
3. საჭიროა წარმოადგინოთ სს „თელასის“ ცალსახა თანხმობა დემონტაჟთან დაკავშირებით.
4. დამკვეთად დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და დამკვეთის ინფორმაციის ველები შეივსოს შესაბამისად.
5. წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის - სს "თიბისი ბანკის" თანხმობა (ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად). ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება საგადასახადო იპოთეკა, წარმოდგენილი იქნას სსიპ - შემოსავლების სამსახურის თანხმობა დემონტაჟის თაობაზე ან განახლებული ამონაწერი, საგადასახადო იპოთეკის გარეშე.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.